ოქმი #5

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკაშვილი, თ. ბუჩუკური, თ. დათუაშვილი, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი).

სხდომას ასევე ესწრებოდა ალგებრის განყოფილების უფროსი ლაბორანტი ნ. ლაზრიშვილი.

დღის წესრიგი:

1. მათემატიკური ლოგიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.
2. რ. ჩაგუნავასა და ნ. ლაზრიშვილის წიგნის „ვახტანგ VI-ის მათემატიკური ნაშრომი“ დასაბეჭდად წარდგენის საკითხის განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2020 წლის 7ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მათემატიკური ლოგიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის (0.5 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის # 195/01-01 ბრძანება*). ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც ზემოთ აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატებად დაასახელა: მამუკა ჯიბლაძე, ხვედრი ინასარიძე, თამარ დათუაშვილი.

ს ა კ ი თ ხ ი დ ა დ გ ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა ზ ე . ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18, წინააღმდეგი - 0.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

1) წარედგინოს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **მამუკა ჯიბლაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **ხვედრი ინასარიძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
3. **თამარ დათუაშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს მ. ჯიბლაძე, თავმჯდომარის მოადგილე - ხ. ინასარიძე, ხოლო კომისიის მდივანი - თ. დათუაშვილი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების

უფროსმა ლაბორანტმა ნინო ლაზრიშვილმა წარმოადგინა თავისი და რაულ ჩაგუნავას ერთობლივი წიგნი „ვახტანგ VI-ის მათემატიკური ნაშრომი“. ასევე წარმოდგენილია ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის ხვედრი ინასარიძის წარდგინება და ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორის, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო წევრის თეიმურაზ ფირაშვილის რეცენზია აღნიშნულ წიგნზე (*ხ. ინასარიძის წარდგინება და თ. ფირაშვილის რეცენზია ოქმს თან ერთვის*).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების უფროსი ლაბორანტის ნ. ლაზრიშვილის გამოსვლა, რომელმაც ისაუბრა წიგნის შესახებ და გამოთქვა სურვილი, რომ აღნიშნული წიგნი გამოქვეყნდეს თსუ-ს მიერ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის ი. კიღურაძის გამოსვლა, რომელმაც დადებითად შეაფასა ნ. ლაზრიშვილის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი და მხარი დაუჭირა მისი გამოქვეყნების საკითხს.

ასევე დადებითი შეფასებები მოჰყვა რ. ჩაგუნავასა და ნ. ლაზრიშვილის ნაშრომს საბჭოს სხვა წევრებისგანაც. ერთხმად გამოითქვა მოსაზრება ხსენებული ნაშრომის გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ პოლიგრაფიულად ნაბეჭდი წიგნის სახით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რათა საკითხი რ. ჩაგუნავასა და ნ. ლაზრიშვილის წიგნის „ვახტანგ VI-ის მათემატიკური ნაშრომი“ თსუ-ს მიერ გამოქვეყნების თაობაზე დაეყენებინა კენჭისყრაზე.

ჩ ა ტ ა რ დ ა ღ ი ა კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18, წინააღმდეგი - 0.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა რ. ჩაგუნავასა და ნ. ლაზრიშვილის ნაშრომი „ვახტანგ VI-ის მათემატიკური ნაშრომი“ გამოიცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ პოლიგრაფიულად ნაბეჭდი წიგნის სახით.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ფ. ჯინჯიხაძე

თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს ქალბატონ ნინო ფარცვანიას

ვადგენ დასაბეჭდად ჩვენი განყოფილების წევრის ნინო ლაზრიშვილის ერთობლივ გამოკვლევას (რაულ ცაგუნავასთან ერთად) ქართველი მეფის ვახტანგ VI - ის ნაშრომზე "ანგარიშის ცოდნა", რათა ის გამოქვეყნდეს წიგნის სახით ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოკვლევას ცნობილი ქართველი მეფისა და მეცნიერის, ვახტანგ VI - ის პირველი ქართული ხელნაწერისა მათემატიკის დარგში. რაც უდავოდ დაიმსახურებს ქართული საზოგადოების ყურადღებას, ამასთან ეს იქნება საინტერესო და ყურადსაღები შენაძენი ქართული კულტურის წარმოჩენისა და მისი განვითარების თვალსაზრისით.

თან დართულია ამ გამოკვლევისა და მასზე დაწერილი რეცენზიის ასლები.

პატივისცემით

ხვედრი ინასარიძე

ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის

ალგებრის განყოფილების გამგე

თბილისი, 18 სექტემბერი 2020

რეცენზია წიგნზე „ვახტანგ მეექვსის მათემატიკური ნაშრომი“

განსახილველ წიგნში მთლიანად მოყვანილია ქართული კულტურისა და ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო „ანგარიშის ცოდნა.“

საყოველთაოდ ცნობილია ვახტანგ მეექვსის ღვაწლი ქართული კულტურისა განვითარებაში, რისთვისაც საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც ის ფაქტი, რომ მან გახსნა თბილისში პირველი სტამბა და მისი რედაქტორობით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი,“ რომელსაც თან ახლდა ვახტანგისვე დაწერილი პირველი მეცნიერული გამოკლევა „ვეფხისტყაოსანზე“. აღსანიშნავია ასევე მის მიერ შექმნილი კომისიის მოღვაწეობა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მეცნიერული გამოცემისთვის. ამ პროექტზე მუშაობისას ვახტანგმა შეადგინა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი გენეალოგია, რითაც ისტორიკოსები დღესაც სარგებლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ მეექვსის ლიტერატურული და ისტორიოგრაფიული მოღვაწეობა იყო მხოლოდ ერთი მხარე მისი მრავლრიცხოვანი სამეცნიერო ცხოვრებისა. განუსაზღვრელად დიდია მისი როლი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო დარგების განვითარების საქმეში. პირადად მის მიერ და ზოგიც მისი დავალებით, სხვადასხვა ენებიდან ქართულად ითარგმნა მრავალი სახელმძღვანელო და ტრაქტატი ბუნებისმეტყველების ისეთ დარგებში, როგორიცაა ასტრონომია, გეოგრაფია, ქიმია და მათემატიკა.

წინამდებარე წიგნი შეიცავს ნინო ლაზრიშვილისა და რაულ ჩაგუნავას ვრცელ და უაღრესად საინტერესო გამოკვლევას ვახტანგ მეექვსის ღვაწლზე მათემატიკაში. წიგნი კი გვირვინდება ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელოს „მცირე რამ გამოკრებული ანგარიშის ცოდნის“ სრული ტექსტით, რომელიც წარმოადგენს, მათემატიკის პირველ ქართულ ორიგინალურ სახელმძღვანელოს. უკვე ეს გარემოება საკმარისია იმის სათქმელად, რომ ეს წიგნი ფასდაუდებელი შენაძენი იქნება ყველასთვის ვინც დაინტერესებულია ქართული კულტურითა და ისტორიით.

როგორც უკვე ავღნიშნე, წიგნი შეიცავს არა მარტო საკუთრივ ვახტანგ მეექვსის „ანგარიშის ცოდნას,“ არამედ ნინო ლაზრიშვილისა და რაულ ჩაგუნავას ფუნდამენტალურ გამოკლევას მეფე-მეცნიერის მათემატიკურ შრომებზე. ამ გამოკვლევაში დაინტერესებული მკითხველი ძალიან ბევრ საყურადღებო

ფაქტს შეიტყობს, როგორც ვახტანგ მეექვსის მათემატიკურ მოღვაწეობაზე, ასევე მათემატიკის სწავლებაზე და სახელმძღვანელოებზე, როგორც სპარსეთსა და რუსეთში, ასევე გერმანულიდან რუსულად თარგმნილი იმდროინდელ წიგნებზე. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა მათემატიკური ტერმინოლოგიის ქართული შესატყვისების ვახტანგისეულმა სისტემატიზაციამ.

„ანგარიშის ცოდნაში" მოყვანილი ამოცანები და მათი ამოხსნის გზები აცოცხლებენ იმდროინდელი საქართველოს ყოფით ცხოვრებას და ფასდაუდებელი დოკუმენტია მეთვრამეტე საუკუნის ქართული კულტურით დაინტერესებული ყოველი ადამიანისთვის.

გამოკვლევა შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე, სადაც გათვალისწინებულია ვახტანგის მოღვაწეობის როგორც ისტორიული, ასევე კულტურული ფონი. გამოკვლევაში დეტალურად არის გაანალიზებული „ანგარიშის ცოდნაში" მოყვანილი ამოცანები და მათი ამოხსნები, შედარებულია ისინი რუსეთში გავრცელებულ იმდროინდელ სხვა სახელმძღვანელოებს. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველისათვის ვახტანგის ტექსტის გაგება-გააზრება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუნდაც ენობრივი და ტერმინოლოგიური ბარიერის გამო და პირადად მე მას ვერ დავძლევდი ნინო ლაზრიშვილისა და რაულ ჩაგუნავას განმარტებების გარეშე. ჩემთვის სრულიად ცხადია, რომ მათ წლები მოანდომეს ამ ტექსტის მომზადებას. მიმაჩნია რომ მათ ეს შრომა უნდა დაუფასდეთ და წიგნი აუცლებლად უნდა გამოიცეს. ეს იქნება საშვილიშვილო საქმე, არა მარტო ჩვენი დიდი წინაპრის მეფე ვახტანგ მეექვსის სახელის უკვდავსაყოფად, არამედ საქართველოში სამეცნიერო ცხოვრების ისტორიისთვისაც და უფრო მეტიც, იმ ეპოქის საქართველოს ცხოვრების უკეთ წარმოდგენისთვის. როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ ეს წიგნი ფასდაუდებელი შენაძენი იქნება ყველასთვის ვინც დაინტერესებულია ქართული კულტურითა და ისტორიით.

29.09.2020

თეიმურაზ ფირაშვილი,

ლესტერის უნივერსიტეტის პროფესორი,

ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო წევრი,

ჰუმბოლტის პრემიის ლაურიატი.